



საქმე №1გ/1487-17



## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით  
საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ

28 დეკემბერი, 2017 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ბრალდებულ მ. ლ.-ს ადვოკატის გ. ბ.-ს სააპელაციო საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის განჩინებაზე, ბრალდებულ მ. ლ.-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ და

### გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

2017 წლის 19 დეკემბერს რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორის ხატია გოგრიჭიანის მიერ რუსთავის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შეტანილ იქნა სისხლის სამართლის N012101017004 საქმე წინასასამართლო სხდომის განხილვისათვის მ. ლ.-ს მიმართ (დაბ. XXXX წლის X ივლისს, პ/ნ XXXXXXXXXXXX).

აღნიშნულ საქმეზე, 2017 წლის 26 ოქტომბერს მ. ლ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით - ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მ. ლ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო, ხოლო წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2017 წლის 27 ნოემბერს.

2017 წლის 19 ნოემბრის რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინებით გაგრძელდა წინასასამართლო სხდომის ვადა და წინასასამართლო სხდომის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 27 დეკემბერი.



რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ბრალდებულ მ. ლ.-ს მიმართ რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გირაო შეიცვალა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით - პატიმრობით. ამასთან, ბრალდებული მ. ლ. მოთავსებულ იქნა სტაციონალური სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამანტში” არა უმეტეს 20 დღის ვადით.

სასამართლოს განჩინებაში მითითებულია, რომ აღკვეთის ღონისძიების შეცვლა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ბრალდებულის მიერ დარღვეული იქნა აღ/ღონისძიების პირობა, კერძოდ მან დაარღვია სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილის პირობა, მიუხედავად ამისა ბრალდებულმა დადგენილ ვადაში არ უზრუნველყო გირაოს თანხის გადახდა შესაბამის საგირავნო-სადეპოზიტო ანგარიშზე, რის გამოც საქართველოს სსსკ-ის 200-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით ბრალდებულის მიმართ გამოყენებული ა/ღონისძიება გირაო შეიცვალა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით პატიმრობით. ასევე არსებობდა გონივრული ეჭვი ბრალდებულ მ. ლ.-ს შესაძლო შეურაცხადობასთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო ან მისი ჩადენის შემდეგ გახდა შეურაცხი, და საჯარო უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს მის სამედიცინო დაწესებულებაში იზოლირებას, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის ან ადვოკატის შუამდგომლობით გამოაქვს პირის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე განჩინება. (იხ. განჩინება)

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ბრალდებულ მ. ლ.-ს ადვოკატმა გ. ბ.-მ.

საჩივარში მითითებულია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს, ვინაიდან ბრალდებული მ. ლ. ყოველთვის ცხადდებოდა და ადეკვატურად იქცეოდა. დაცვის მხარე მიიჩნევს, რომ ბრალდებულს არ მიუცია მიზეზი იმისა, რომ მოათავსონ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ამასთან, ფსიქიატრებს არ გამოუკითხავთ მ. ლ.-ს ოჯახის წევრები. ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით დაცვის მხარე მიიჩნევს, რომ მ. ლ.-ს არ უნდა დაენიშნოს ფსიქიატრიული მკურნალობა და არ იქნეს გადაყვანილი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ასევე ითხოვს მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გაუქმებას. (იხ. საჩივარი)

საქართველოს სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, ამ კოდექსის



206-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა. მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, წყვეტს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნებს, ამასთანავე, გამოიკვლია თუ არა ან შეაფასა თუ არა მან ამ კოდექსით დადგენილი წესით არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა თანახმად, შეამოწმა რა საჩივრის შესაბამისობა დასაშვებობისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები:

მასალების მიხედვით, წინასასამართლო სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების შესახებ დაცვის მხარის შუამდგომლობა სასამართლოს მიერ განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე და 219-ე მუხლების დადგენილი პროცედურებით, თუმცა დაშვებულია უზუსტობა გასაჩივრებასთან დაკავშირებით.

მითითებულ ნორმათა განმარტებისას, საყურადღებოა, რომ საქართველოს სსსკ-ის 207-ე მუხლი ითვალისწინებს საგამოძიებო კოლეგიის მიერ მხარეთა სააპელაციო საჩივრების განხილვის კონკრეტულ წესს. მითითებული მუხლის ადგილი და შინაარსი საპროცესო კოდექსში მიანიშნებს საგამოძიებო კოლეგიას მიკუთვნებულ საჩივრების განხილვების განსჯადობას, ანუ საგამოძიებო კოლეგია განიხილავს სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო სხდომისთვის გადაცემამდე, საქმის სასამართლოში არსებითად განხილვამდე, გამოძიების დასრულებამდე არსებულ მხარეთა საჩივრებს. ხოლო აღკვეთის ღონისძიების და საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე, მას შემდეგ რაც სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცემა წინასასამართლო სხდომას ან არსებითი განხილვისათვის სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია მოკლებულია კანონისმიერ შესაძლებლობას განიხილოს მხარეთა სააპელაციო საჩივრები ბრალდებულის მიმართ შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებაზე ან ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებაზე, გარდა სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დათქმისა. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განიხილავს გამოძიების დასრულებამდე, ანუ წინასასამართლო სხდომამდე ბრალდებულის მიმართ შერჩეულ აღკვეთის ღონისძიებებზე ან ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებზე მხარეთა სააპელაციო საჩივრებს, რაც თავისთავად მიანიშნებს, რომ წინასასამართლო სხდომისა და საქმის არსებითი განხილვის დროს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული მოთხოვნები/საჩივრები ცალკე არ განიხილება და საგამოძიებო კოლეგიაში არ საჩივრდება.

საგამოძიებო კოლეგია ბრალდებულ მ. ლ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის გ. ბ.-ს საჩივართან დაკავშირებით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გაუქმების შესახებ განმარტავს, რომ მოქმედი სისხლის



სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად წინასასამართლო სხდომის ეტაპზე, საჩივრდება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინება და განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, ხოლო აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილება არ საჩივრდება საგამომიებო კოლეგიაში, რის გამოც საგამომიებო კოლეგია მოკლებულია კანონისმიერ შესაძლებლობას მ. ლ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 206-ე მუხლით, 207-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-7 ნაწილებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბრალდებულ მ. ლ.-ს ადვოკატის გ. ბ.-ს სააპელაციო საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის განჩინებაზე, ბრალდებულ მ. ლ.-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გაუქმების შესახებ, დაუშვებლად იქნას ცნობილი.
2. განჩინების ასლები გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილი